პარასკევი, 16 თებერვალი 1907 წ.

წელიწადი პირველი—№ 35

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ. ხელის მოწერა და დაბეჭდვა განცხადებისა მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. [illegible] მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“

**მიიღება ხელის მოწერა 1907 წლისათვის.**

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**ი ს ა რ ი**

**გაზეთი ღირს:**

| ერთის წლით: | ნახევარის წლით: | ერთის თვით: |
|---|---|---|
| ტფილისში . 6 მ. 50 კ. | ტფილისში . 4 მ. — კ. | ტფილისში . — მ. 75 კ. |
| ტფილისს გარედ 7 „ — „ | ტფილისს გარედ 4 „ 50 „ | ტფილისს გარედ — „ 80 „ |
| საზღვარ-გარედ 12 „ — „ | საზღვარ-გარედ 6 „ — „ | საზღვარ-გარედ 1 „ 50 „ |

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

**ხელის მოწერა შეიძლება:**

**ტფილისში:** 1. «ისრის» რედაქციაში (ელისაბედის ქ., № 1, მილოვის სახლი). 2. «ქ. შ. წ. გ.-კ. საზოგ.» წიგნის მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან (სასახლის ქ.). **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან («კოლხიდის» ამხანაგობაში). **ბათუმში**—ხომერიკთან, ქოროხში. **ჭიათურაში**—პლ. ლეჟავასთან. **თელავში**—ივ. პაატაშვილთან. **ჭიათურაში:** სოფრომ ტარიელოვთან, ჭიათურის კანკში. **ზესტაფონში:** გიორგი ჩხეიძესთან (პინჯარაძის და ჩხეიძის მაღაზიაში).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція газ. «ИСАРИ».**

---

**ქვრივი ქრისტინე (პაშა) კონსტანტინეს ასული, ბესარიონ (ბეჩუნა) გიორგის ძე, კონსტანტინე, ნადეჟდა, ნინა, ანასტასია, თამარ, მარუსია და ვერა კონსტანტინეს ძე და ასულნი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—ძვირფას მეუღლის, მეორე—დაუვიწყარ ძმის, დანარჩენნი—საყვარელ მამის

## კონსტანტინე კაცია გიორგის ძის ადანაიასას.

დაკრძალვა 18 თებერვალს საფიჩხიის სასაფლაოზე. ცხედრის გამოსვენება საკუთარ სახლიდან (ქარავნის ქ.) ამავე დღეს 3½ საათზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. (3—კვ.—1)

---

გაზეთი „წინ“ გამოვა 16 თებერვლიდან.

**მიიღება ხელის მოწერა 1907 წ. ყოველ-დღიურ პოლიტიკურ და სალიტერატურო გაზეთზე**

**წელიწადი** **წ ი ნ** **მეორე**

გაზეთის ფასი: ერთის წლით—7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთი თვით—ქალაქში—70 კაპ., პროვინციაში—80 კაპ. ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

დაუბეჭდავი წერილების და სხვა სარედაქციო საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, დილის 12—2 საათამდე, კვირა-უქმეობით 11—12 საათამდე.

განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კაპ., მეოთხეზე—10 კაპ.

**ფოსტის ადრესი:** Тифлисъ, редакція «ЦИНЪ».

**ხელის მოწერა მიიღება კანტორაში, ნიკოლოზის მოედანი, № 1.**

---

## ვერის სამკურნალო

სპეციალისტ ექიმებისა.

ოლგას ქუჩა № 35.

ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე.

**ექ. მამულაშვილი**—ნერვებისა და სულიერ-ელექტრო-წამლობა და ჰიპნოზი. 9—10 ს.

**ექ. მელიქ-ფინათოვი**—ვენერიული, კანისა და საშარდე 9½—11 ს.

**ექ. რამენდიკი**—შინაგანი 10½—11½ ს.

**ექ. ზაკრჟევსკი**—ქალისა და ბავშვის 11—12 საათამდე.

**ექ. ქადანთაროვი**—თვალისა 1—2 ს.

**ექ. კიკოძე**—ქირურგიული 12—1 ს.

**ექ. მარცინკევიჩი**—ბავშვისა 12—1 ს.

**ექ. შერეშევსკი**—ყელისა, ყურისა და ცხვირისა 1—2 ს.

**ექ. გამბურგერი**—ქიმ. მიკრ. და ბაქტ. გამოკვლევა შარდისა, სისხლისა, ნახველისა და სხვ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

**სამკურნალოში შეიძლება მასსაჟი.** (100—94)

## სამკურნალო

**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**

ფასი რჩევისთვის 50 კაპ.

**ვანქის დიდი ქუჩა,** № 5.

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

**ექ. ფ. ი. რუდინკო**— შინაგანი სნეულობანი. ხუთშაბათს და კვირას 3—4 ს.

**ექ. ფ. ვ. ჩუდნოვსკი**—ქირურგ. სნეულ. ორშაბ და პარასკევობით 2—3 ს.

**ექ. მ. ი. იანჩევსკი**—ყურის, ყელის და ცხვირის. ოთხშ., პარასკ. და კვირაობით 2—3 ს.

**ექ. ვ. ვ. ვნუკოვი**—ქირურ. და საშარდე. ორშაბ., ხუთშ., შაბათს და კვირას 2—3 ს.

**ექ. ნ. მ. ანპილოვი**—ყურის, ყელისა და ცხვირის. ორშაბ., სამშაბ. და შაბათს 1—2 ს. ხუთშაბათს და კვირას 12—1 ს.

**ექ. ვ. გ. ბოცოვსკი** — შინაგანი წამლობა შთაგონებით; ყოველ დღე 4—5 ს.

**ექ. ა. ნ. თითრამე**—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—2 ს.

**ექ. ა. ი. პავლიცკი.** ქირ. 12—1 ს. ყოველ დღე, კვირაობით 4—5 ს.

**ექ. ა. ა. მონზე**—შინაგანი, ბავშვების, სამშაბათს, ხუთშ., შაბათს 4—5 ს.

**ექ. ა. ფ. როზმაინსკი**—საბავშვო, ოთხშაბ., შაბათს 11—12, პარასკ. 1—2 ს.

**ექ. ნ. ი. ნეუმინი**—თვალისა, ორშაბ., სამშაბათს, ოთხშაბ., შაბათს 11—12 ს.

**ექ. ა. ა. ნოვიცკი**—ქალისა და ბავშვისა. ოთხშაბ. და კვირას 12—1, პარასკ. 1—2.

**ვ. ი. ნნავე.**—შინაგანი 1—2 ს. სამშ., ოთხშ., შაბ., კვირ.; ქალებისათვის—ორშაბ., ხუთშაბ. 1—2 ს., პარასკ. 12—1 ს.

**ექ. ზ. ფ. ნევზოროვა** — კბილისა, ყოველ დღე 11—5.

**ექ. მ. ი. გოროდცევა.** მასსაჟი 11—4 ს.

**ექ. გ. მ. პივარსკი** / **ექ. გ. ი. ჩუდნოვსკი** — კლინიკური ანალიზი.

**ექ. გ. ი. ონოშკო**—საექიმო გიმნასტიკა, მასაჟი, ელექტრიზაცია 4—6 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—52)

## სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

**ტფილისში**

მუდმივის საწოლებით

(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).

მიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფებისა

**მიხეილ აგაჯანოვი:** 11—12 ს. საშარდე, კანისა და სიფილისი.

**ი. ნ. ეგიაზაროვი:** 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.

**გ. ა. ტატევოსოვი:** 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.

**ი. გ. ავეტისოვი:** 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.

**მ. პ. კიმონჯი:** 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.

**ბ. ა. ზეიერი:** 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი.

**ი. ნ. თუმანოვი:** 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა.

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—29)

ექიმი

**პ. ს. მუსხელიშვილი**

ძიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ. სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—45)

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 11—1 ს. და საღ. 4—6. ვერა, ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—732—5)

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, ი—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—36)

ექიმი

**ა. ნ. დიასამიძე**

**კანისა და ვენერიული.** დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ქალ. ხილნალში

**ექიმი ა. ა. ბალაშვილი**

1 თებერვლიდან იწყებს ავათმყოფების მიღებას. ნ. მირინაშვილის სახლში, ფოსტის ქუჩაზედ. (24—509—15)

კბილის ექიმი

**ი. ზ. კანდელაკი**

იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. იღებს დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპექტი, სახლი აბულაძისა, № 26. (25—6.—8)

**ქუკიაში იხსნება იაფ-ფასიანი სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველო.** სამკითხველოს გამგენი ხელ-მოკლეობის გამო მოუწოდებენ პატივცემულ საზოგადოებას მატერიალურ დახმარებისთვის.

მიიღება შემოწირულება ვისაც რითი შეუძლიან, ფულით თუ წიგნებით:

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანტორაში შიო ქუჩუკაშვილთან.

სოსო მაჭავარიანთან—ნიკოლოზის ქუჩა № 7. სტალრის ქარხანაში.

ელენე დანილენკოსთან—კრასნაგორის ქუჩა № 21.

კუკიის ხიდზე ამხანაგობა გიორგი გუმარიტოვთან № 36.

ორშაბათიდან თვით სამკითხველოში. ავჭალის ქუჩა № 43. (3—უ.—3)

23 თებერვლიდან დ. ჩოხატაურში იხსნება წიგნის მაღაზია და ჟურნალ გაზეთების კანტორა

## „სინათლე“

მიიღება გაზეთებში დასასტამბავათ განცხადებები, გაზეთების გამოწერა ყოველთვის პირველ რიცხვიდან და იყიდება გაზეთები იმ ფასებში, რაც ზედ აწერია.

წიგნის მაღაზიის გამგე ნიკიფორე (3—546—3) **მეგრელიშვილი.**

## საჭიროა საჩქაროდ

ბუხჰალტერი ყვირილის სამეურნეო ბანკში.

თხოვნის გაგზავნა შეიძლება შემდეგის ადრესით: **Квирилы, Сельскохозяйственный банкъ.** (5—ბან.—2)

ქართული წარმოდგენა

**ტფილისის საკრებულოში**

შაბათს, 17 თებერვალს 1907 წ. ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

## რას ვეძებდი და რა ვპოვე

კომ. 3 მოქმ. ბ. ჯორჯაძისა.

**წარმოდგენის შემდეგ**

**მეჯლისი და ლოტო.**

სდგილების ფასი 30 კ-დან ვიდრე 1 მ-მდე.

წარმოდგენა დაიწყება 8½ საათზე

შაბათს, 17 თებერვალს

გამოვა საგლეხო გაზეთის

## „მიწის“

მერვე ნომერი, რომელშიაც დაბეჭდილი იქნება: გლეხური, ლექსი. მებრძოლ გლეხებს, ლექსი—ბატონ-ყმობა, ლექსი.—ახალი სიმღერა, ლექსი.—ჯორი ზაქარა. მოთხრობა ბატონყმობის დროიდან.—ბატონყმობის მოსპობა.—როგორ მოატყუილეს ხალხი 19 თებერვალს.—ბატონყმობის გადავარდნა.—ბრძოლა განვაგრძოთ და სხ.

**ფასი №.ისა 6 კაპ.**

«მიწა» ერთი წლით ღირს 3 მან., 6 თვით—1 მ. 60 კაპ.

**1905 წლის „ცნობის ფურცელზე“ ქუთათურ ხელის მომწერთა**

## საყურადღებოდ

ტფილისში გამოვიდა და უკვე დაურიგდა ხელის მომწერლებს 1905 წ. „ცნ. ფურ.“ პრემია „დონ-კიხოტი“ I, რომელიც ქუთათურ ხელის-მომწერთათვისაც მივიღე დასარიგებლად. მხოლოდ, რადგან მოსალოდნელია, რომ ბინაზე გაგზავნით წიგნები დაიკარგოს, ამისათვის უმჯობესი იქნება აქაური ხელის მომწერლები თითონ მოვიდნენ კანტორა „კოლხიდაში“, ან კიდევ გამოგზავნონ ვინმე, რათა დავთარში აღნიშვნით ჩაიბარონ თავიანთი წიგნები.

კანტორის მართველი **ივ. გვიცარიძე.**

ტფილისი, 16 თებერვალი.

არჩევნები თითქმის ყველგან დასრულდა, მომავალ სათათბიროს შედგენილობა უკვე გამოირკვა და ეხლა ჯერი მიდგა პარლამენტში პარტიების კომბინაციაზე. ამ საგანზე რუსეთის პრესსაში ლაპარაკი პირველმა «როსსიამ» ჩამოაგდო: «როსსია», როგორც ვიცით, სტოლიპინის სამინისტროს ოფიციოზური გაზეთია და ამიტომ იმისი ხმა საკმაო ნიშანია იმისი, თუ რას აპირობს და რას ფიქრობს თვით სამინისტრო.

არჩევნების დასრულების შემდეგ «როსსიამ» უეცრივ იბრუნა პირი კადეტებისკენ და, თუმცა ჯერ ისევ რამდენიმე დღის წინად მას საკმაოდ ძლიერი სიტყვა ვერ ეპოვნა ამ პარტიის დასამცირებლად და ფეხ-ქვეშ ჩასაგდებად, ეხლა სულ სხვა კილოზე ლაპარაკობს. ეხლა ამ გაზეთის სიტყვებიდან გამოდის, რომ კადეტები არც რევოლიუციონერები არიან, არც სახელმწიფოს მტრები, არც წესიერების დამრღვევნი, არამედ პირიქით მალიან მშვიდობიანი და საიმედო ხალხია. მათთან თურმე შესაძლებელია სათათბიროს მარჯვენა ფრთის დამობილება და დამეგობრება ისეთი უმრავლესობის შესაქმნელად, რომელზედაც სამინისტროს იმედიანად შეეძლება დაემყაროს. მართალია, «როსსია» ეხლა ასეთის მადლიანის ენით მხოლოდ კადეტების პარტიის მემარჯვენე ნაწილზე ლაპარაკობს, მაგრამ ეს ამ შემთხვევაში უმნიშვნელო გარემოებაა. საინტერესო ის არის, რომ მთავრობის გაზეთი გზასა სწმენდავს მემარჯვენეების და კადეტების დასაახლოვებლად პარლამენტში მემარცხენეთა დასამლევად და მთავრობის პოზიციის გასამაგრებლად. რა თქმა უნდა, ეს კომბინაცია «როსსიის» პუბლიცისტებისაგან არ არის გამოგონილი, ეს კომბინაცია ეხლა სტოლიპინის სამინისტროს ერთად ერთი უკანასკნელი იმედი-ღაა. თუ ეს კომბინაცია არ განხორციელდა, მთავრობა იძულებული იქნება ან ეხლავე დაითხოვოს მეორე სათათბირო და საველე იუსტიციის რეჟიმი წინანდელზე უფრო გაასასტიკოს და ან ნამდვილი საკონსტიტუციო და დემოკრატიული რეჟიმი დაამყაროს. ჯერ-ჯერობით კი მთავრობას არც ერთი ჰსურს და არც მეორე. უკეთ რომ ვთქვათ, პირველი ვერ გაუბედნია და მეორე კი არა სწადიან.

ამ საპარლამენტო კომბინაციისათვის მარტო «როსსია» არ ამზადებს ნიადაგს. ასეთ კომბინაციისაკენ კადეტების პარტია ჯერ, მართალია, არ მიიზიდება, მაგრამ მუქარით კი მალიან გაბედულად იმუქრება. პეტერბურგის არჩევნებზე გამარჯვებით აღფრთოვანებული გაზეთი «რეჩი» (კადეტების მთავარი ორგანო), მომავალ პარლამენტის მემარცხენეთა საყურადღებოდ აცხადებს, ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ სათანადო დაწესებულებებს მსჯელობა ჰქონდათ და გადაჭრით დაადგინეს, სახელმწიფო სათათბირო ორ-სამ დღეზე დაითხოვონ, თუ კი უმრავლესობა საპარლამენტო ოპპოზიციის ფორმით არ დაკმაყოფილდება და უფრო მარცხნივ მიიწევსო. შესაძლოა, რომ ეს ცნობა სრულიად მართალი იყოს, აქ დაუჯერებელი არაფერი არაა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ასეთ ცნობის წინ წამოყენება და იმისი გადაქცევა ტაქტიკის მაჩვენებელ გზად მოასწავებს, კადეტების წრეებში მემარცხენეებთან დაახლოვების აზრს.

ამაზედ უფრო მეტი და უფრო ცხადი სიმპატიური მნიშვნელობა აქვს კადეტების მეთაურის, პ. მილიუკოვის განცხადებას პარლამენტარიზმის კითხვის შესახებ. ჩვენს მკითხველს, რა თქმა უნდა, ახსოვს, რომ პასუხის-მგებელ სამინისტროს ე. ი. პარლამენტარიზმის მოთხოვნას კადეტების პროგრამაში ცენტრალური ადგილი ეჭირა აქამდე; ეხლა პ. მილიუკოვი სწერს, ჩემის აზრით პარლამენტარიზმი იურიდიული ინსტიტუტი კი არ არის, იგი პროდუქტია საკონსტიტუციო ცხოვრების პრაქტიკისაო. ლაპარაკი არაა საჭირო, რომ პრაქტიკულად ასეთი შეხედულება მოასწავებს გულციოობას პასუხის-მგებელ სამინისტროს კითხვის შესახებ. თეორიულად «პროდუქტი საკონსტიტუციო ცხოვრებისა» და «იურიდიული ინსტიტუტი» სხვა და სხვა ცნებაა, მაგრამ ეს ცნებათა სხვა და სხვაობა გამოჰხატავს პარლამენტარიზმის გათვალისწინებას ისტორიულად ერთის მხრივ და დოგმატიურად მეორის მხრივ. ყოველი იურიდიული ინსტიტუტი ისტორიულად ცხოვრების ნაყოფია და ესევე შეიძლება ვთქვათ პარლამენტარიზმზე; მილიუკოვს, რა თქმა უნდა, ეს მშვენივრად ესმის, და თუ ის მაინც გვეუბნება, პარლამენტარიზმის ცხოვრების და პრაქტიკის ნაყოფიაო, ეს იმას ჰნიშნავს, რომ ის და იმისი მომხრეები ეხლა პასუხის-მგებელ სამინისტროს მოთხოვნას მოსახერხებლად არა სცნობენ და, რადგან მოთხოვნა პროგრამაში ნათლად აქვთ ჩაწერილი, ამიტომ პარტიულ პატიოსნების დასაცველად ამ მოთხოვნის განხორციელება თავის საკუთარ კისრიდან ისტორიის და პრაქტიკის კისერზედ გადააქვთ.

ამ გვარად, ერთის მხრივ მემარჯვენეები და მეორის მხრივ კადეტები ერთმანეთისკენ იწევენ. მემარჯვენეები კადეტებს პოლიტიკურ სიმწიფის ატესტაციას აძლევენ, კადეტები კი ზოგიერთ თავის რადიკალურ მოთხოვნაზე უარის სათქმელად იმზადებენ ნიადაგს. რა ნაყოფს მოიტანს ეს ურთიერთობა, ეს ჩვენის ფიქრით, დამოკიდებულია მემარცხენეთა ტაქტიკაზე. მემარცხენეებს შეუძლიანთ კადეტები თავისკენ გადიბირონ, შეუძლიანთ აგრეთვე მემარჯვენეებს დაუკავშირონ. ეს მემარცხენეები ყველა რომ სოც.-დემოკრატები იყვნენ, კადეტების კავშირი ოქტომბრისტებთან მალიან მოსალოდნელი იქნებოდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით საბოლოოდ გამორკვეული არ არის, რა ნაწილებისაგან შესდგება მომავალ სათათბიროს მარცხენა ფრთა და რა ტაქტიკას დაადგება თითოეული ჯგუფი მემარცხენე დეპუტატებისა.

## ჩვენი დღიური.

ოთხი დღის შემდეგ შეიკრიბება სახელმწიფო სათათბირო, ხოლო რამდენი დღის შემდეგ იქნება დათხოვნილი? ოთხის დღის შემდეგ მიესალმება მთავრობა ხალხის უკეთეს წარმომადგენლებს, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ უწოდებს მათ „უარესებს“ და კინწის კვრით გამორეკავს?

კადეტები დარწმუნებულნი არიან, რომ მთავრობა არ დაითხოვს სათათბიროს და ამის დასასაბუთებლად, სხვათა შორის, მოჰყავთ მაგალითები ევროპის ცხოვრებიდან და გვიკითხავენ ლექციას იმის შესახებ, რომ კონსტიტუციის ძალით მთავრობა პარლამენტს დაითხოვს, რათა შეამოწმოს, რამდენად ხალხის ნამდვილ სურვილის გამომხატველნი არიან დეპუტატები, და რაკი დარწმუნდება, რომ ხალხი მართლა ეთანხმება დეპუტატებს, პარლამენტს დაემორჩილებაო. ამ გვარად, თუ კადეტების ლექციას დავიჯერებთ, რუსეთის ახლანდელი მთავრობა აღარ დაითხოვს მეორე სათათბიროს, რადგან ისიც ოპპოზიციონურია, როგორიც იყო პირველი სათათბირო, და მეორე სათათბიროს შემწეობით აშკარად და ნათლად დამტკიცდა ხალხის სურვილი და მისწრაფება. კადეტებიც თავის მხრით ყოველნაირს საშუალებას ხმარობენ, რომ ზომიერად დაიჭირონ თავი და მაინცა და მაინც არ გაამწარონ მთავრობა. დიდად მონდომებულნი არიან, უჩვენონ ყველას, რომ წელს უფრო დავდინჯდით, აღარ ვემორჩილებით ყმაწვილურ გატაცებასაო. ერთმა მემარცხენე კადეტურმა გაზეთმა ამ დღეებში სახალხო-სოციალისტების ორატორებს უსაყვედურა: მათი ლაპარაკი მოგვაგონებს კადეტების შარშანდელ სიტყვებსაო. დღეს კადეტები აგრე არ ვილაპარაკებთ, დღეს უფრო ჩახედულნი ვართ ცხოვრებაშიო.

ცხადია, კადეტები მარჯვნივ მიიწევიან. სასტიკმა რეპრესიებმა, სამხედრო-საველე სასამართლოებმა, რევოლიუციონურ მოძრაობის მოყუჩებამ ჯეროვანი გავლენა იქონია კადეტებზე და დღეს ისინი, უეჭველია, ხელს არ მოაწერენ ვიბორგის მანიფესტს. ეს გარემოება თავისებურ ელფერს მისცემს სათათბიროს. მართალია, მთავრობა ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია, ფულიც მოეპოვება (რუსეთს გაჰყიდის და იშოვნის) და ხიშტიც, მაგრამ უკანასკნელმა არჩევნებმა მაინც სავონებელში ჩააგდო: ეგონა, რევოლიუცია რამდენისამე კაცის გამოგონილია, რუსის ხალხი მშვიდობიანობის მომხრეა და სრულებით არ უნდა ძველი წეს-წყობილე-

ზის გამოცვლაო. მაგრამ, მიუხედავად პოლიციელების მეცადინეობისა, ხალხმა მაინც ის გამოაცხადა, რომ ებრძვის დღევანდელ მთავრობას, ხალხი აღარ არის მთავრობის მხარეზე. ამას მთავრობა უეჭველად გაუწევს ანგარიშს და თავის მხრითაც იფიქრებს ხალხთან „მორიგებაზე“, დაუწყებს სათათბიროს ვაჭრობას: ამას დაგითმობ, თუ შენ ამას და ამას გააკეთებ და ურჩობას არ დაიწყებო.

გაიმართება მოლაპარაკება, ცოტა არ იყოს, შეშინებულს მთავრობასა და კადეტებს შორის, რომელნიც რევოლიუციამ კიდევ მოღალა და მზად არიან, როგორმე თავი დაახწიონ რევოლიუციას და გამოვიდნენ მშვიდობიან გზაზე. მაგრამ ნაყოფს მოიტანს კადეტების ცდა და მორიგდებიან კომპრომისების მოსურნე ბიუროკრატები და კადეტები? მეტისმეტად საეჭვოა, რომ მთავრობამ მიიღოს კადეტების ზომიერი მოთხოვნილებანი. კადეტები უტოპისტები არიან, უტოპისტები იმ მხრივ, რომ ფიქრობენ, „საფუძვლიანის“ ლაპარაკით დაარწმუნონ და დაითანხმონ მთავრობა. მაგრამ რა არის ის ნიადაგი, რომელზედაც უნდა შეთანხმდნენ მოსარიგებელი მხარეები, რა არის ის მინიმუმი, რომელიც აუცილებლივ უნდა მოითხოვონ კადეტებმა, თუ არ უნდათ, რომ ერთიანად გაჰქრეს მათი სახსენებელიც? ყველაფერს დასთმობენ კადეტები, მხოლოდ უეჭველად მოითხოვენ მიწების ძალით გამოყიდვას და პასუხისმგებელ სამინისტროს.

მაგრამ განა ვისთვისმე საეჭვოა, რომ დღევანდელი მთავრობა არც ერთს და არც მეორეს არ დაუთმობს სათათბიროს? მიწების ძალით გამოსყიდვა სოციალიზმის აჩრდილად ეჩვენება მთავრობას, რომელიც ძირს უთხრის ყოველსავე წეს-წყობილებას. პასუხისმგებელი სამინისტრო კი დღევანდელ მთავრობის უარყოფაა და საკუთარის თავის უარყოფაზე მთავრობა არასოდეს არ დაყაბულდება. პასუხისმგებელი სამინისტრო—მთელი ბიუროკრატიის გამოცვლაა, სრული ამნისტია, ყველა საგანგებო წესების მოსპობა, და ეს ხომ დამარცხებაა მთავრობისა, და განა დამარცხებულად ჩასთვლის თავის თავს მთავრობა?

კადეტების და მთავრობის მოლაპარაკება თავისთავად უნაყოფო იქნება, მაგრამ არის სხვა გარემოებაც, რომელიც ხელს შეუშლის მათ შეთანხმებას. **ს—ა.**

## სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა სააგენტოსაგან)

**პეტერბურგი.** 13 თებერვლამდე აირჩეს 664 დეპუტატი. ამათ რიცხვში მემარცხენე 288-ია (მათ შორის კადეტი 75, რადიკალი 3, უპარტიო, 12 ნაციონალისტი 45). დანარჩენში ცვლილება არ მომხდარა.

ქ. ორიოლის მეორე საარჩევნო ნაწილში აირჩიეს 12 კაცი უფლება-წესიერების ჯგუფისა და 27 კადეტი. ხვალ კადეტის ასარჩევად წარსდგება 37 კაცი, უფლება წესიერების პარტიისა და 43 კადეტი ამრჩეველი, ერთიც უპარტიო მემარცხენე.

დეპუტატებად აირჩიეს: აკმოლინის ოლქში რუსებმა ვინოგრადოვი, სამხედრო ექიმი, სოც.-დემ.; ქალ. ვარშავაში—ნოვოდგორსკი—დეპუტატად ნამყოფი, დმოვსკი—გაზ. „პოლსკი ნაროდოვიც“-ის რედაქტორი; ქალ. ორლოვში ტატარინოვი—კადეტი, ტურღაის ოლქში კაზაკებმა—გოლოვინოვი—სოც.-დემ.

სახელმწიფო საბჭო გაიხსნება 20 თებერვალს ნაშუადღევის ხუთ-საათზე. სახელმწიფო სათათბიროს სესიის გახსნა დაევალება სახ. საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგს გოლიუბევს. სათათბიროს გახსნის წინ პარაკლისს გადაიხდიან.

## ახალი ამბავი

✦ **ნამესტნიკი პეტერბურგს მიდის.** თებერვლის 20 რიცხვში სამსახურის საქმეებისა გამო პეტერბურგს მიდის კავკასიის ნამესტნიკი გრ. ვორინცოვ-დაშკოვი.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** სამხედრო-საოლქო სამართალში მისცეს გორის მაზრის სოფ. ქვემოფლავის მცხოვრები ვანო ილიას ძე გაზაშვილი. გაზაშვილს ჰბრალდება: 1905 წელს სექტემბერს ზემო-ხევსურეთში მემამულის თავ. იასონ ციციშვილის მოკვლა, თავ-დასხმა იმავე სოფელში თავდგირიძეზე, სკრაში—ავსარქისოვის სახლზე, ქვემო-ხევსურეთში მღ. ალექსანდრე დოლიძის სახლზე და თვით დოლიძის მოკვლა, აზნაურ საამ ტატიშვილის მოკვლა 1906 წელს, ზემო-ხევსურეთში ებრაელთა ზი[illegible]სა და სხვების გაძარცვა, მემამულის შატბერაშვილის მოკვლა, თავ. ამილახვრის მოურავის ვალიშვილის მოკვლა, სტრაჟნიკის კუმარიციშვილისა და იმის ძმის მოკვლა, სატუსაღოდან გაქცევა, სამხედრო სამსახურიდან გაქცევა და სხვა. ამ საქმეს სასამართლო ომიანობის დროის კანონების მიხედვით გაარჩევენ. ვიატკის გუბერნიაში ხუთის წლით იგზავნებიან ბორჩალოელნი გიორგი ღარიბაშვილი და არშაკ მარქარაშვილი. ჰბრალდებათ იარაღის გაყიდვა სიღნაღის მაზრის სოფ. მატანის მცხოვრებნი ტყის გაჩეხისათვის დაჯარიმებულ იქმნენ სამ-სამი მანეთით თითო კომლი.

✦ **შავროვის მოკვლის განზრახვა.** 14 თებერვალს მიხეილის ქუჩაზე ეტლით მიმავალ კავკასიის სააბრეშუმო სადგურის უფროსს შავროვს ვიღაცამ სროლა აუტეხა. შავროვის ეტლი მოუახლოვდა ალექსიის ქუჩის შესახვევს, ვიღაცა მივარდა ეტლს და ოთხჯერ ესროლა რევოლვერი. სამი ტყვია ასცდა, მეოთხემ შავროვის საპაპიროსე და უბის წიგნი გახვრიტა და ჯიბეში ჩარჩა. უცნობნი მიიმალნენ.

✦ **გლეხების საადგილ-მამულო საქმის მოწყობა.** როგორც სააგენტოს დეპეშა გადმოგვცემს, მიწათ-მომწყობი მთავარი სამმართველო ადგენს მოხსენებას სახელ. სათათბიროში წარსადგენად. მოხსენება შეეხება იმ თანხას, რომელიც უნდა გადაიდოს გლეხთა და ციმბირის, ამიერ-კავკასიის და ბალტიის მხრის „ინოროდცების“ საადგილ-მამულო საქმის მოწყობას.

✦ **ბეითალთა საზოგადოება.** ტფილისში არსდება კავკასიის ბეითალთა საზოგადოება. კრება მოხდება 18 თებერვალს.

✦ **სომხურ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ,** 23 თებერვალს საარტისტო საზოგადოების დარბაზში დანიშნულია, საღამო სომხურ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ.

✦ **ხეხილი და ჩაი.** ოზურგეთის საცდელ პლანტაციამ გურიაში გასავრცელებლად გაიწერა საუკეთესო ჯიშის ხეხილის ნამყენები და ეხლა უკვე მიიღო. ნამყენები ორისა და სამის წლისაა და თითო ძირი ღირს ცამეტ კაპეიკად. მსურველს იქვე აძლევენ ჩაის ბუჩქის ნერგს, ორას ძირს მუქთად. თუ მეტს წაიღებს, ძირი თითო კაპეიკად დაეთმობა.

✦ **აგრარული კომისია.** ამიერ კავკასიის რამდენისამე დეპუტატის ინიციატივით, ვიდრე ეს დეპუტატები ტფილისიდან პეტერბურგს წავიდნენ, დაარსებულ იქმნა აგრარული კომისია, რომლის დანიშნულებაც, სხვათა შორის, არის მოხსენების შედგენა აგრარულ საკითხის შესახებ. შემდეგ ამ მოხსენებას გამოიყენებენ კანონ-პროექტის შესადგენად ამიერ-კავკასიაში გლეხების სავალდებულო დამოკიდებულების სალიკვიდაციოდ. კომისიას შეუდგენია საკმაოდ ვრცელი პროგრამა საგლეხო საკითხის გამოსარკვევად და იმედი აქვს, რომ ტფილისში ბევრი შესძლებს და მოისურვებს დაეხმაროს ამ კომისიას ან მასალების გადაცემით და ან ცალკე მოხსენებების შედგენით პროგრამის პროგრამაში ანუ სხვილ კითხვებზე. ჯერ-ჯერობით კომისიაში მიუწვევიათ ბ-ნი ვ. ა. სტაროსელსკი, ფ. გ. გოგიჩაიშვილი, ა. ნ. ფურცელაძე, ა. ს. ფირალოვი, ს. ნ. ტიმოფეევი, ფ. ი. მახარაძე, გ. მ თუმანოვი, ა. ი. საკოვი, ს. ზავროვი, ი. იოსელიანი, ა. ქალანთარი და სხვანი. მასალებს და მოხსენებებს მხოლოდ პირველ მარტამდე მიიღებს ორესტ სემინი, კომისიის მდივანი. დროებითი ადრესი მდივნისა: რედაქციები „ტფილის. ლისტ.“, „ისარი“, „ჟამანაკი“, „წინ“, „მშაკი“ და სხვ.

✦ 18 თებერვალს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში გ. ზაგარიანი წაიკითხავს მოხსენებას ზანგეზურის მაზრაში დამშეულთა შესახებ.

✦ ტფილისიდან ბაქოში გადასახლებული ნესტორ გიგიბერია განთავისუფლეს 11 თებერვალს.

✦ ქალაქის ღარიბთა პირველ თავშესაფარის გამგემ გუშინ ქალაქის გამგეობას წარუდგინა იანვრის ანგარიში. თავშესაფარით უსარგებლნია 3046 ქალსა და კაცს. აქედან რუსი ყოფილა 1346 მამაკაცი და 198 დედაკაცი, სომეხი 685 მამაკაცი და 31 დედაკაცი, ქართველი 429 მამაკაცი და 31 დედაკაცი, თათარი 1 მამაკაცი, გერმანელი 89 და სხვა ეროვნებისა 20. უმეტესად თავშესაფარში მიდიან უსაქმუროდ დარჩენილნი.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ სატუსაღოს სივიწროვემ და იქ გაჩენილმა საოფლემ დააფიქრა აქაური ადმინისტრაცია და ახალ შენობის ძებნას შეუდგა სატუსაღოთ მოსაწყობად. ამისთანა ბინა ვერ იპოვეს და ამიტომ იძულებულნი შეიქნენ, მომრიგებელ მოსამართლის მიერ დასჯილი ტუსაღები, რიცხვით 40, სამტრედიის საპატიმროში გადაეყვანათ. საპატიმროც კამერებად მოაწყეს.

✦ შორაპნის მაზრიდან 10 თებერვალს ეტაპით ჩამოიყვანეს 20 პატიმარი, რომელთაც ჰბრალდებათ საფოსტო ვაგონის გაძარცვა ქიათურის გზაზე. პატიმართა შორის არის გზის დარაჯი, რომელსაც, როგორც ამბობენ, გაუთქვამს სხვები იმ იმედით, რომ თავს იხსნიდა სასჯელისაგან, მაგრამ ვერც ეს დახმარებია.

✦ საურთიერთო კრედიტის საზოგადოების საქმეები ნელ-ნელა უმჯობესდება. ამის ხელის შემწყობი უფრო შავი ქვის განაღდებაა. მას აქეთ, რაც ეს საქმე მოწესრიგდა, საზოგადოების კასაში შესულა 60,000 მანეთი და ამ ფულით საზოგადოებას ხელი მოუნაცვლებია და წელში გამაგრებულია. აქვე არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ საზ. წევრთა გულგრილობა და შეუწყნარებელი დაუდევრობა: მიუხედავად რამდენჯერმე გამართულ კრებისა და ცდისა, იშვიათად თუ ვინმემ შეასრულა თავისი მოვალეობა საზოგადოების მიმართ და რაღა გასაკვირველია, რომ საქმე კუს ნაბიჯით მიდის. ჩვეულებრივი საერთო კრება საზოგადოებისა დანიშნულია 25 მარტისთვის.

✦ ქ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით ადმინისტრატიულის წესით იგზავნებიან ოლონეცკის გუბერნიაში ხუთის წლის ვადით ზუგდიდის მაზრის მცხოვრებნი: ტყებუჩავა, ზარანდია, დავითაია, ესებუა, შამათავა, ბარკალაია და ჯიმკარიანი, და ქუთაისის მაზრისა: სულაქველიძე, იობაძე და ვაშაკიძე.

✦ 12 თებერვალს დილის 10 საათზე, როცა ოლქის სასამართლოს კურიერი პროკურორთან მიდიოდა, მას თავს დაესხა რამდენიმე კაცი, და წაართვა ქაღალდებით სავსე პაპკა და გაიქცა. ფიქრობენ, რომ ქაღალდების წამღებთ პაპკაში ეგულებოდათ ის საქმეები, რომელიც სარევოლიუციო ხანას ეხებოდა, ნამდვილად-კი ჩვეულობრივი საქმეები იყო თურმე.

✦ ნიკოლაძისა და ძმათა ბოკერიათა სახლები დღესაც სახელმწიფო ქონებათა გამგეობის ხელშია და რაც შემოსავალია რამე, ხაზინაში მიდის, ხოლო სახლის პატრონები ცარიელზე სხედან.

## პატარა ფელეტონი

კანონის ბატონი და მოჯამაგირე.

დღეს თეთრ ცხენებ-შებმულ ეტლით მიმავალი ერთი წარჩინებული მანდილოსანი დავინახე. ლამაზად ჩაცმული, იგი მარტო იჯდა ეტლის ფართო უკანა ადგილზე; თვალ-წინ კი, კოფოზე, უჯდა მისკენ ზურგ-შექცეული მეეტლე და იმერულ-ჩოხიანი მოსამსახურე. უნებლიედ დაგაფიქრებს ეს ძველი და თან ყოველთვის ახალი სურათი. ფართო ადგილზე ზის მარტოდ-მარტო კოპწია, ტან-წერწეტა ქალი, ვიწრო კოფოზე კი ძლივს ეტევა ჯან-ღონით სავსე ორი ვაჟ-კაცი. ვინმე ციდან ჩამოფრენილმა და ჩვენი წეს-წყობილების უცოდინარმა სულდგმულმა რომ დაინახოს ეს უცნაური მოვლენა, იტყვის, ეს ქალი უდიდესი ნიჭით შემოსილი და სასახელო ასპარეზზე გამარჯვებული უნდა იყოს, და ახლა განზრახ თვალსაჩინო ადგილზე ხალვათად დაუბრძანებიათ და ორი ახოვანი ვაჟკაცი კი თავის ნებით მაღლა ეტლის ვიწრო ადგილზე დამჯდარა, რათა მთელი ხალხის სათაყვანებელი ეს თვალ-მარგალიტი მანდილოსანი ქება სადიდებლად ქალაქში შემოატარონო.

ციდან ჩამოფრენილმა სულდგმულმა არ იცის რასაკვირველია, რომ არა რაიმე დამსახურებულმა პირადმა ღირსებამ, არამედ დაუმსახურებელმა სიმდიდრემ, კერძო საკუთრებამ და იმისმა დამცველმა კანონმა ხალვათად დააბრძანა ეტლში ეს მანდილოსანი და იმის მორჩილ მსახურედ წინა კოფოზე ჯან-ღონით სავსე ორი ვაჟკაცი დაუსკუპა.

რა დიდი განსხვავებაა ამ მანდილოსა-

# ფელეტონი

ადათი და კანონი, საკუთრება და სახელმწიფო

(სოციოლოგიურ ეტიუდის ნაწყვეტი)

**თავი I**

(შემდეგი *)

ავიღოთ რამდენიმე მაგალითი. ბექას სამართალით, შვილს ნება ჰქონდა, მაგრამ მამულის გაყოფას კი უკრძალავდა—„მამულის გაყოფას არა ემართლებისო“. „რად არ შეიძლებოდა მამულის გაყოფა? ჰკითხულობს ურბნელი თავის იურიდიულ მონოგრაფიაში. მიზეზი ისაა, განაგრძნობს ავტორი, რომ საათაბაგოს ოჯახი დიდი და მრავალ-წევროსანი ოჯახია (семейная община), რომელსაც მიუცილებლად საერთო და განუყოფელი მამული უნდა ჰქონოდა. ყველგან დიდი ოჯახობა საგვარეულო წყობილებისაგან წარმომდგარა და პატარა ოჯახი (малая семья) დიდისაგან გაჩენილა. განუყოფელი მამული მხოლოდ საგვარეულო წყობილებისა და დიდის ოჯახის ხვედრია. პატარა ოჯახს, სახლს იგი არ მოეპოვებოდა. რადგანაც ალბუღას დროს ოჯახი არ დაპატარავებულიყო, მამულის გაყოფაც არ შეიძლებოდა. სხვა გზით ვერ აიხსნება, თუ რატომ „შვილი მამულისა გაყოფასა არა ემართლების“. თითქო თითონ ალბუღაც ამტკიცებს ჩვენ აზრს. მამულის გაყოფა ათაბაგს კერძო ჩვეულებად მიაჩნია, „იქნების ალაგისა და გვარის წესი, რომ უმცროს მამულოვნებით გაიყვანენ, თუ ცოლსა შეირთავსო“ (მუხ. 6.) მაშასადამე, „მამულით გაყვანას“ საზოგადო წესი უკრძალავდა და აჲას იმიტომ, რომ დიდი ოჯახი შეადგენდა საზოგადო შინაურს წყობილებას, რომელიც მამულის გაყოფას უარჰყოფს. ვახტანგ სჯულმდებელი თანაუგრძნობდა დიდ ოჯახობას და გაყრაც ამ მიზეზით გააძნელა. მაგრამ იმის დროს დიდი ოჯახი საზოგადო წესი აღარ ყოფილა და მხოლოდ სანატრელ საგნად გადაქცეულა. საათაბაგოს სამართალი ცხადად ამტკიცებს, რომ რაც შემდეგში სანატრელი შეიქმნა, ის წინად ცხოველს ჩვეულებას შეადგენდა“[6].

ურბნელი აღნიშნავს ფრიად საყურადღებო მოვლენას. შედარებითი ეთნოგრაფიამ დაამტკიცა, რომ ეგრედ წოდებული „დიდი ოჯახი“ (პატრიარქალური თემი) საგვარეულო წყობილების მეორე საფეხურზე სდგას. პირველი საფეხური დედეული ან დედათა-მთავრული კომუნისტიური ოჯახია (матернитетъ), ხოლო მესამე საფეხური მონოგამური ინდივიდუალური ოჯახია. მონოგამურ ოჯახის წარმოშობისთანავე იძლევა საგვარეულო წყობილება (родовой бытъ). საათაბაგოში პატრიარქალურ ოჯახსა ვპოვებთ და სამართალიც ამ ოჯახის ინტერესებს იცავს.

ავიღოთ ახლა სხვა მოვლენა—შურის ძიება. „ჟამთა ვითარების გამო საგვარეულო შურის ძიებას (родовая месть) ფრთები ეკვეცება,—ვკითხულობთ ურბნელის გამოკვლევაში,—ნელ-ნელა ძალა აკლდება და სავარჯიშო მოედანიც უმცირდება, შურისძიება გვარიდან ოჯახზედ გადადის, მერე ოჯახს თავს ანებებს და ახლო ნათესავებს სდევნის და დასასრულ მარტო პირდაპირ დამნაშავეს ულესავს თავის მახვილსა...“[7] როცა მძვინვარე შურის ძიება მოისპო, მაშინ გაჩნდა ეგრედ წოდებული **დაურვება** (სისხლის მიცემა—compositio, вира). ძველს დროს დაურვება საზოგადო ჩვეულება ყოფილა...[8] უეჭველია, რომ საათაბაგოშიაც დაურვება შურისძიების შემდეგ დაარსდა ასე გასინჯეთ, დაურვების პირვანდელი ფორმაც კი ნაშთად შენახულა სამართალში და ცხადად სჩანს, რომ საათაბაგოშიც დაურვებას იმავე გზით უვლია, როგორც სხვაგან... საათაბაგოშიაც ყველა დანაშაულს თავისი თეთრი გაუჩინეს და ამას გარდა თეთრის მეტნაკლებობა „გვარსა ზედა“ დააფუძნეს“.[9] ყველა ეს, როგორც ავტორიც გვეუბნება, საგვარეულო წყობილების ნაშთია, და ეს ნაშთი სამართალშიაც გამოისახა.

ავიღოთ სასამართლოს პროცესი. ყველამ იცის, რომ დანაშაულის აღმოჩენისათვის თანამედროვე სასამართლო მოწმეებს მიმართავს ხოლმე. ძველი სამართალი კი, საგვარეულო წესზე აღორძინებული, მოწმეებს უნდობლად ეპყრობა. გვარისეულის თვალში მოწამე და ჯაშუში ერთი ცნებაა. მოწმობა მავნებელ საქმედ მიაჩნდათ. თუ დანაშაულობა გვარის წევრმა ჩაიდინა, იმის წინააღმდეგ მოწმობა ხომ საკუთარის ინტერესის უარყოფას მოასწავებდა (გვარი და მისი წევრები ერთს სხეულს შეადგენდნენ). ხოლო თუ დანაშაული სხვა გვარის კაცმა ჩაიდინა, იმის წინააღმდეგ მოწმობა სახიფათო იყო, რადგან სხვა გვარის გადამტერება საშიში იყო. „ვახტანგის წინა დროს ქართული სამართალი ძველს მიმართულებას მისდევდა, ამბობს ურბნელი, და იგი მიმართულება კიდევ მოწამეს არა სწყალობს და მოფიცარს (соприсяжникъ) უფრო ენდობა. ეგრე იყო საათაბაგოშიაც. ალბუღა თითქო ძუნწობს და მოწამეს ორიოდე ადგილას იხსენიებს.[10] მაგრამ ამგვარივე უნდობლობას, დავუმატებთ ჩვენ, თვით ვახტანგის კანონებშიაც ვპოვებთ, რომელიც უფრო ახალ დროში იყო შედგენილი. ვახტანგის კრებულში ვკითხულობთ: „მოწმეებს ძლიან სწყალობენ ბერძნები, ევროპიელები და რუსები. თვით წმინდა ს ხარებამაც დააწესა ისინი. მაგრამ საქართველოში მოწმეებს დიდი გასავალი არა აქვთ. ხოლო აქაც თუ ვინმემ წარმოადგინა იმისთანა მოწმეები, რომელთაც ღვთის შიში აქვთ და ზრუნავენ თავიანთ სულის ცხონებაზე, რომელნიც ღვთის მსახურებას ეწევიან, ჭკვიანნი, სამართლიანი და სანდონი არიან, ამ გვარ მოწმეებს დაეჯერებათ, ხოლო ვისაც ზემოდ ჩამოთვლილი ღირსებანი არა აქვს, ერთ ან ორ მოწამეს არ დაეჯერება. თუ ამგვარი მოწმეები არ არიან, ათი ან ოცი კაცის მოწმობაა საჭირო, ან მთელი სოფლისა. ამაზე ნაკლები რიცხვის მოწმობა კი არ შეიწყნარება... და სხვა.[11] აქედანა სჩანს, რომ არც ვახტანგს ჰქონდა განუსაზღვრელი ნდობა მოწმეებისა.

ალბუღას სამართალს რომ დავუბრუნდეთ, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ სასჯელის კითხვაშიაც მოსამართლე ძველ ჩვეულებას იცავდა. სისხლის დაურვებასთან ერთად შემდეგ ხასიათის სასჯელს ვპოვებთ ალბუღას სამართალში. როცა ცოლიანი კაცი ქმრიანს დიაცს უნამუსოდ გაჰხდიდა, დამნაშავეს ყელზედ საბელს მოაბამდნენ და შიშველს უბან-უბან ატარებდნენ (მუხ. კდ.). თითქმის ასეთივე სასჯელი მოელოდა ზედ-დამსხმელს, რომელიც ლამობდა დიაცის წაგვრას,—შიშველს პერანგის ამხანაგის ამარა, სანეხვეზე ათრევდნენ და შოლტავდნენ (მუხ. იდ). თვალთა დაწვაც ხმარებაში იყო (მუხ. რნგ), აგრეთვე ხელფეხთა დაჭრა (მუხ. რჲ)[12].

**ამ მოკლე ანალიზიდან აშკარადა სჩანს, რომ საქართველოს ძველი სჯულმდებლობა ადათზე იყო დამყარებული და თუ მას ჩვენს მთაში ადათის განვითარების მსვლელობაზე გავლენა ჰქონდა, ეს სწორედ ამ გარემოებით აიხსნება.** მაგრამ ყოველივე ეს იმას არა ნიშნავს, ვითომ ქართულ კანონს „კანონისებური“ თვისებები არ ჰქონდეს. ქართველთა ტომებმა საგვარეულო წყობილებას ძველ დროშივე თავი დააღწიეს. საქართველოში ფეოდალობა დამყარდა და ამ ფეოდალობიდან აღმოცენდა მემკვიდრეობითი მონარქია.[13] მაშასადამე, საქართველოში დროთა მსვლელობაში შემუშავდა სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია და ამ ორგანიზაციის მცველი—დარაჯი ხომ კანონია. „კანონი კი შეთხზულია ან ერთი მონარქისა, ან ძლი-

*) ის. „ისარი“ № 31

6) „ათაბუღი ბექა და ალბუღა და მათი სამართალი“, ნ. ურბნელისა. გვ. 180.

7) ibid გვ. 241.

8) ibid გვ. 250.

9) ibid გვ. 252—253.

10) ibid გვ. 301.

11) Законъ царя Вахтанга, მუხ. 13. გვ. 2.

12) ალბუღას სამართალი ურბ. გვ. 410.

13) Исторія Грузіи (Культурно-историческій набросокъ) проф. Марра გვ. 29.

ნის გულის-მომწყვლელ უსაქმობისა და მაგალითად იმ მუშების სამო საქმიანობის შორის, რომელსაც ღიმ-მორევით აგვიწერს რუსეთის ცნობილი მწერალი გლებ უსპენსკი. მწერალმა დაათვალიერა კასპიის ზღვის პირად მეთევზეთა ერთი სოფელი და ცოცხლად აგვიწერს მეთევზე მუშების გულ-მოდგინე ფუსფუსს ქვირითისა და ხიზილალის დამზადების დროს. სხვათა შორის, ხიზილალის დამზადებისათვის საჭირო ყოფილა ერთგვარი საქაჯავი, ესე იგი ორი ფიცარი, რომელთა შუა ხიზილალა იჭყლიტება. მეთევზეებს, სიღარიბის გამო, მანქანები არა აქვთ, ამიტომ, ხიზილალის დასაჭყლეტად ზედა ფიცარს თვითონ აჯდებიან, „своими собственными природными дарованіями“, ამბობს უსპენსკი. ამნაირად აქ მუშის ჯდომასაც სარგებლობა მოაქვს.

არისტოკრატების თავმომწონე ჯდომა კი დღეს მუქთი ჯდომაა, ცუდად დაკარგული ენერგიაა, სანამ ისინი ჭკუაში არ ჩავარდებიან და, თუ სხვა არაფრისთვის ვარგანან, თავის ლამაზ საჯდომებს ხიზილალის საჭყლეტად არ გადააქცევენ.

წარჩინებულ გვამთა ეტლების ვიწრო კოფოზე ხშირად „ლაქიას“ მაგიერ უკან ფრაკის კუდ-ჩამოძეებული და გულზე უმაღლესი განათლების ნიშან-დაკრული იურისტი ვექილი წარმომიდგება ხოლმე. იურისტი კანონის, მაშასადამე კერძო საკუთრების და სიმდიდრის დამცველია. კანონი ხომ უმთავრესად მძლავრთა ამა სოფლისათა მიერ შექმნილი და მათი მონა მორჩილი და მოსამსახურეა. იურისტი ვექილი თვალთმაქცურ—ქარაგმულად გეტყვისთ, რასაკვირველია, კანონსა და სიმართლეს ვემსახურებით, მაგრამ გაფრთხილებთ, თავის დღეში ნუ დაიჯერებთ იმის სიტყვებს. იგი ემსახურება მდიდართა მიერ დადგენილ კანონს, ესე იგი პირდაპირ მდიდრებს, კერძო საკუთრების „ლაქია“, მოჯამაგირეა; ამიტომ თავისუფლად და თავისი ღირსების დაუმცირებლად შეუძლია შესკუპდეს თავის ფრაკითა და დასრულებულ უნივერსიტეტის „ჯვარ-მედალით“ მდიდარ წარჩინებულთა ეტლის კოფოზე.

იურისტებს სულს ურჩევნიათ ლამაზად შეხავებული სიტყვების თაიგული მაგრამ გაფრთხილებთ, ამ გარედან სუნოვან ყვავილთა კონას ცხვირს ნუ მიაკარებთ: შიგ ვერაგული განზრახვის გველი იმალება.

მაგალითად, თვითეული იურისტი თავაზიანად გეტყვით, სავსებით გრწამს რომ მუშის ხელებით შექმნილი და უმცირესობისაგან ხელთ-გდებული კერძო საკუთრება უნდა მოისპოს; ხოლო ამის განხორციელება დღეს შეუძლებელია. სოციალიზმს მე მხოლოდ შორეულ მომავალში ვხედავო. ამ სიტყვებზე თამამად შეგიძლიანთ მიუგოთ თქვენ ენა-წყლიან მოსაუბრეს, რომ იმას არც ღმერთი სწამს, არც ალ-ქაჯი, და მოაგონებთ იმ ეშმაკ დედაბერს, რომელმაც ეკკლესიაში ვეშაპიან მებრძოლ წმინდა გიორგის ხატს სასოებით ორი მსხვილი სანთელი აუნთო: ერთი წმინდა გიორგისა და მეორე:—ვეშაპის წინ და როცა დამსწრეთ გაკვირვებით ჰკითხეს, ამას რას სჩადიხარო, დინჯად უპასუხა: აბა ვინ იცის, საიქიოს სად მოვხვდები, სამოთხესა თუ ჯოჯოხეთში, ამნაირად თუწინ-და-წინ ორთავენი მოვიმადლიეროო.

იურისტებიც დღეს სასოებით უნთებენ წმინდა სანთელს თავისუფალ სოციალიზმის წმინდა გიორგის და კერძო საკუთრების მრისხანე ვეშაპს და სურთ ამნაირად ორივენი მოიმადლიერონ.

რა დიდი მზღვარია ამ ვექილებსა და იმ ფილოსოფოსის შორის, რომელიც ერთხელ ქალაქს გარედ სასეირნოდ გავიდა და კაცობრიობას შემდეგი საგულისხმიერო აზრი უანდერძა: „ჩემ თვალ წინ გადაშლილ ბუნებას რ ამ დაუკვირდი. დავრწმუნდი, რომ იგი სრულებით არა ჰგავს იმ ადგილს, რომელიც ამ მიწის მესაკუთრეთა ქაღალდებშია აწერილი ადამიანი თავის დღეში ვერ მოიგონებს ისეთ წამალს რომლითაც დედამიწის ზურგზე კერძო საკუთრების დოკუმენტის მტკიცედ დაკვრას შესძლებს. საკუთრების საბუთები მხოლოდ ნისლივით დასწოლიან ქვეყანას· ადვილად განქრებიან და მათ ქვეშ გამოჩნდება განთავისუფლებული ‛დედა-მიწა, დიდებული მხატვარის შემოქმედება“.

ი. ნაკაშიძე.

## პროვინციის ცხოვრება

**ოკრიბა.** მღვდლებმა სული ამოგვართვეს; იმ მღვდლებმა, რომელნიც შარშან და უფრო კი შარშან-წინ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, არა მე უფრო რევოლიუციონერი ვარო, არა მეო. ეხლა ხომ დრონი იცვალნენ, დრობით მაინც, და ჩვენმა „რევოლიუციონერებმა“ მღვდლებმა პოლიციის მიმართეს—გლეხთაგან სადრამო ფული აგვირთვითო. პოლიციამ, რასაკვირველია, ამ საქმეში დიდი მხნეობა გამოიჩინა და არაფური დაზოგა, რომ მღვდლები დაეკმაყოფილებინა. ფული უკვე აკრეფილია, მაგრამ რა ფასით? რამდენი უმწეო გლეხი აწიოკეს და მიწასთან გაასწორეს, რომ სულიერ მამათა მადა დაეკმაყოფილებინათ. საკვირველი ის არის, რომ ვინც უფრო მაღალ ფარდებში იწევდა რევოლიუციის დროს, ის ეხლა მეტს სისასტიკესა და გაუკითხაობას იჩენს გლეხთა მიმართ. მღვდელი მუსერიძე, რომელმაც თავისი თავი ს.-ფედერალისტად აღიარა თავისუფლების დროს, ეხლა პირველია მღვდელთა შორის ხალხის აწიოკებისა და შევიწროვებაში. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ხალხს აღარა სწამს მისი ს.-ფედერალისტობა და იქამდისაც კი მივიდა იგი, რომ გადაწყვეტილი აქვს მიმართოს ეპისკოპოზს, გადაიყვანოს სადმე. სხვა თვისებასთან ერთად ამ სულიერ მამას სხვა ცუდი თვისებაც არ აკლია თურმე და ნუ გაუკვირდება, თუ ხალხი თავის დროზე პასუხს მოსთხოვს იმის საქციელში.

**შორეული.**

**ს. ჟანოგი** (დუშეთის მაზრა). დღეს ჟანოელები დიდს გასაჭირს განიცდიან ცალკე მიწის სიმცირის გამო და ცალკე უმუშევრობისა. მიწა ისე მცირეა, რომ ბევრ აქაურ გლეხს ერთი დღიურიც არა აქვს. ამაზედ მოჭყავთ ქერი და სვილა, რაიცა შეადგენს იქაურების საჭმელს. მარტო მიწის მოსავალი, რასაკვირველია, ვერ გამოჰკვებავს ხალხს, თუ რომ გარედ სამუშაოზედ არ გადიოდეს. აგრეც არის, დადგება შემოდგომა და ზაფხული თუ არა, მოდება აქაური ხალხი ძაუგს (კავკავს) და სხვა ქალაქებს. მაგრამ სადღაა სამუშაო! ხშირად გარედ გასული, ორი-სამი თვის შემდეგ სახლში ბრუნდება ავადმყოფი სიცივისა და შიმშილის გამო. აქამდის კიდევ არა უშავდათ-რა: წინ საქართველოს სამხედრო გზა უძევთ. აქაურების საუბედუროდ, ეს გზა თითქმის ორი წელიწადია შეჩერდა. ამ გზაზე მუშაობდნენ აქაურები, მთელი ხევისა და მთის ხალხი ზოგნი თვიურად და ზოგნიც დღიურად. მაგრამ შედგა გზა და მუშაობაც შედგა.

მართალია, ახლაც მუშობენ, მაგრამ ბევრ არაფერს, რადგან მარტო ფოსტა დააქვთ და ამისათვის, მოგეხსენებათ, ძალიან არ შეიწუხებენ თავს. არიან თვიურად მუშები. ამათი ჯამაგირი 20 მანეთია, მაგრამ რა არის ოცი მანეთი! უნდა თავის თვალით ნახოს კაცმა ამათი მუშაობა და გაჭირვება, რომ სისწორით დააფასოს, მეტადრე გუდაურიდან კობამდე. ვისაც კი ეს გზა უვლია, ის უეჭველად ჰნახავდა, რომ გზის გვერდებზე ამართულია თოვლი, თითქმის ერთს საჟენის სიმაღლეზე და ბევრჯელ მეტზედაც. ეს ემოდენა სიმაღლეზე ასროლილი თოვლი მუშებისაგან არის. როდესაც ქარ-ბუქი ამოავსებს ხოლმე ამ გზას, ერთი მუშა მაღლა სდგას, მეორე ძირს; ძირს მუშა უყრის თოვლს მაღლა მდგომს, ის კი თავის რიგად კიდევ მაღლა ისვრის, და ასე მთელი დღე განუწყვეტლივ მუშაობს მუშა ქარ-ბუქსა და სიცივეში ოც-მანეთად. ხშირად, როდესაც ეკითხები შინ დაბრუნებულ მუშას, რად დაანებე თავი, შინ პური არა გაქვს და ცუდად ჯდომა რა ხეირს მოგცემსო? რავქნა ძმაო, გიპასუხებს, მუხლები და ხელები აღარა მაქვს, ავად გავხდი და წამოვედი. დიად, მუხლიც და მკლავიც და კიდევ ბევრიც სხვაც, ჩემო ძმაო! მერე ნაწვები დოგინად და ასე მთელი სიცოცხლე გაიტანჯები სოგლახაკეში.

ამის გამო აქაურები სხვაგან, შირაქში სახლდებიან. ჯერ კიდევ შარშან წასულიყვნენ აქაურები შირაქში, ეხნათ ცოტაოდენი და კიდევაც მოეწონათ. ამის შემდეგ ყოველგვარად სცდილობენ, როგორმე ნება გამოსთხოვონ მთავრობას იქ დასახლებისა. აი ამ თაობაზე, 28-ს იანვარს, შეიკრიბა აქაური ხალხი განაჩენის დასადგენად იმეებისა, ვინც გადადიან აქედან შირაქში. სულ დაეწერა 13 კომლი. საქმის გაძღოლა იკისრა აქაურმა გლეხმა ლაზარე კობიაშვილმა, რომელიც ქალაქშია სამუშაოდ და ერთგულად მოეკიდება ამ საქმესაო. ბევრი ლაპარაკი გამოიწვია ფულმა. კობიაშვილი არას ითხოვდა, რაც დამეხარჯება დამეხარჯოსო, მაგრამ თუ საქმე გავკეთდა, მომეცით დანახარჯი და თუ არა გამოვა რა, არაფერი მინდაო. ხალხმა თითო თუმანი აღუთქვა, უკეთუ გაარიგებს რასმეს და ისიც დასთანხმდა. შემდეგ შეამოწმებინეს მამასახლისს და წავიდა ტფილისში. ვნახოთ, როგორ გათავდება საქმე.

**ქართლელი ხევში.**

**ბაქო.** 7 თებერვალს კავკასიის რკინის გზით ბაქოდან ცივ გუბერნიებისკენ გაისტუმრეს პოლიტიკური ტუსაღები, რომელნიც ზოგი ქუთაისიდან და ზოგიც ტფილისიდან უთვილა გამოგზავნილი. შემთხვევით შევხვდი მათ ბაქოს სადგურზე და მთხოვეს, თქვენის გაზეთის საშუალებით ვამცნო მათ ნათესავებს, რომ ისინი უკვე გამგზავრნენ რუსეთისაკენ, აი მათი სახელი და გვარები:

ნოი პოკუხავა, ესტატე ხოშტარია, ივანე კალანდაძე, მირიანე ზურაბაშვილი, კოწია კლდიაძე, ალექსანდრე ფირალოვი, ნიკოლოზ ასათიანი, ივანე სირაძე, კოწია ანთაძე, სამსონ ქურციძე, ვარამან ქარცივაძე, ნიკო პაპავა, პეტრე მიგვავა, ზაქი კალანდია, ნიკო აბსაძე, ვალერიან ბაქრაძე, პეტრე აბრამიშვილი, დარჩო ბურდგანიძე, ლაზარე მუშკუდიშვილი, ნიკოლოზ კორძაიოვი, ალექსანდრე გარაკიძე, ალექსანდრე გვარაკაძე, დომენტი შავრაძე, სულ 23 კაცი. ამათთან კიდევ უთვილა ორი ტუსაღი, სახელდობრ სადია კვესიტაძე და პანტელეიმონ დოლიძე, მაგრამ ავადმყოფობის გამო მორჩენამდე ესენი ბაქოს საავადმყოფოში დაუტოვებიათ.

ზემო დასახელებულებმა, მოიკითხეს რა თავიანთი ნათესავები და ნაცნობები, აუწყებენ, რომ დღეს დღეობით მარჯვეთ არიან, არ დაცემულან სულით და იმედოვნებენ თავისუფლებას. როცა ისინი მელაპარაკებოდნენ. სამხედრო დარაჯები შემომჩერებოდნენ, რომ რამე არ გადამეცა. იმათ გაზეთი მთხოვეს — „ისარი“, რომელიც ხელში მქონდა იმ დროს. მე ვუყიდე იქვე ბუზღოკები, გამოვახვიე გაზეთში, და ვთხოვე ერთ უფროსს ჯარის-კაცს გადაეცა. იგი მიმიხვდა ალბად, გაზეთი გადააგდო და პაპიროსები მიაწოდა.

მ. ა.

**ს. ბეთლემი** (სამეგრელო). [illegible] თესლს, ვითომ საუკეთესო ჯიშისას, ჩვენში „პოდრაჩიკები“ [illegible] ობით იწერენ ქარხნებიდან, შემდეგ ნოქრებს იჭერენ და ჰგზავნიან სოფლელთა შორის კოლოფებით დასარიგებლად მარტსა და აპრილში. თითო კოლოფს აფასებენ 4—5 მანეთად. ზოგს ნაღდ ფულსართმევენ, ზოგსაც ტოვებენ პარკის ფულის მიღებამდე. წინად სოფლელნი სარგებლობაში იყვნენ, მაგრამ აგერ მესამე წელიწადია, რაც ყაჭის ჭიისაგან ძალიან ზარალობენ. თერთმეტ-თორმეტ ოჯახში ერთისა ან ორის გარდა ყველას ესპობა ნაშრომი. ასე, ჩვენის წვა-დაგვისა და ტანჯვის შემდეგ ცარიელზე რჩებიან სოფლელნი. „პოდრაჩიკები“, რა თქმა უნდა, თავიანთ ფულს სასამართლოთი იღებენ. როცა უსაყვედურებ, ისინი თესლის გაფუჭებას ისევ სოფლელებს აბრალებენ, მოვლა და სამსახური არ იციანო. მაგრამ ეს სიმართლეს მოკლებულია· რატომ არ ისპობოდა თესლი სამი წლის წინად, როცა ჭიის სული სრულებითაც არ იცოდნენ სოფლელებმა. ეხლა სოფელში ხმა დადის, „პოდრაჩიკები“ კოლოფში მხოლოდ ორ-სამს ურევენ კარგ თესლს, დანარჩენი სულ უვარგისიაო.

ახლა, ვინ იცის, რამდენს ატყუებენ ყაჭის ყიდვის დროს. სასწორიც ნაკლები აქვთ და ფასსაც ნაკლებს აძლევენ. მექარხნეები პირდაპირ ვერ მოდიან ჩვენში ყაჭის სასყიდად. მათ ნავთსადგურებსა და რკინის გზის სადგურებში უხვდებიან ზემოხსენებული „პოდრაჩიკები“, მოატყუებენ, უკან აბრუნებენ და ვაჭრობას ხელში იგდებენ ხოლმე. კარგი იქნება, საქმე ისე მოეწყოს, რომ სოფლელებმა პირდაპირ მექარხნეებთან იქონიონ ურთიერთობა.

[illegible]

## მუშების ცხოვრება

**კიდევ ხელოსანთა შეერთების შესახებ.** წავიკითხე თქვენს გაზეთში გიგო თოიძის წერილი „ხელოსანთა საყურადღებოდ“ და აგრეთვე თქვენი წერილიც ამხანაგ თოიძის წერილის გამო. სრულიად თანაუგრძნობ ამხანაგის წერილს რედაქციასთან ერთად, მხოლოდ ერთს აზრში არ გეთანხმებით. თქვენ ურჩევთ ხელოსნებს არტელების დარსებას, ამხანაგი თოიძე კი ამ შეკავშირებას უფრო ფართოდ უყურებს და თხოულობს არა არტელებს, არამედ ხელოსნების კავშირთა კავშირს. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან არტელები ცალ-ცალკე ვერც ნდობას დაიმსახურებენ, როგორც თქვენა გგონიათ და ვერც შეაერთებენ ყველა ხელოსნებს ერთად, მეტადრე ისეთ ხე-

---

ერთა და მდიდართა ამორჩეულ პირთა მიერ, ვკითხულობთ Bâton-ის საყურადღებო ეტიუდში. ეს კანონი ხდება აუცილებელი და სავალდებულო საზოგადოების ყველა წევრთათვის, რომელნიც დამონებულნი არიან გაბატონებულთა მიერ. სხვანი კი ამ კანონის გარეშე დგანან, კანონი მათ არ აწევს ქედზედ მთელი თავისი სიმძიმით, რადგანაც იგი მათი საკუთარი იარაღი არის მათივე ხელით ცხოვრებაში გაყვანილი.“[14]

ამ გვარად, ქართულ სჯულ-მდებლობაშიაც ადათთან ერთად სრულიად ახალ იურიდიულ და პოლიტიკურ ნორმებსა ვპოვებთ. და ამ ნორმების თვისება იყო დარღვევა ადათისა, საგვარეულო წესისა, დამონება ერთის წოდებისა მეორისაგან და საბოლოოდ ყველა წოდების დამონება მეფის მიერ. მართალია, ეს უკანასკნელი პროცესი არ დამთავრდა საქართველოს ძველ ისტორიაში, მეფეებმა საბოლოოდ ვერ სძლიეს ფეოდალთა ურჩობა. **ხოლო კანონმდებლობის ტენდენცია კი აქეთკენ იხრებოდა.** საათაბაგოს წყობილება, მაგალითად, დაფუძნდა „გვარსა“, „დიდმამულსა“ და საპატიო ხელზე“ და ეს სამი ცნება ყველგან ფეოდალობის დამახასიათებელ თვისებად ითვლებოდა. სადაც კი პოლიტიკური საზოგადოება დაარსებულა, ყველგან თავადებმა, დიდმა მთავრობამ თუ მეფეებმა სისხლის ფასის მეტ-ნაკლებობა „გვარსა ზედა“ დააფუძნეს მთავარი თუ მეფე ყველაფერში ეჩრება, ყველაფერში წილს იღებს. ასე, მაგალითად, იმავ ალბუღას სამართალში აღიარებული: ვინმე ყმას გაცარცავდა, სისხლი ბატონს უნდა მიეღო (მუხ. კ)[15] „გასამყრელოც“ (ვახტანგის კანონში) ბატონის სასარგებლოდ მიდიოდა;[16] ესევე იყო სხვა ქვეყნებშიაც. რუსეთში კნიაზობის დროს ვირა (ურცხი) კნიაზს ეკუთვნოდა. საფრანგეთშიაც სისხლის ნაწილი გრაფსაც უნდა რგებოდა. ყველგან ფეოდალი შეიქნა უმაღლეს მსაჯულად. საათაბაგოს პატრონი სრულიად მიაგავდა ფეოდალურ Seigneur Haut-justicier-ს[17]

ქართულ სჯულმდებლობას ის თვისებაც ჰქონდა, რითაც ასე თავი მოსწონს „განვითარებულ“ კანონმდებლობას. მან უარ-ჰყო ძველი შეხედულება დანაშაულობასა და ბოროტებაზე, რომლის ძალით დანაშაულობად მიაჩნია მხოლოდ ისეთი მოქმედება, რომელსაც რაიმე ზარალი მოაქვს. კანონმა ახალი აზრი შემოიტანა. იგი ყურადღებას აქცევს დამნაშავის ბოროტ წადილს (Злой умыселъ). „ალბუღას სამართალი ადგენს, დამნაშავე უნდა დაისაჯოს იმის და გვარადაც, თუ რამდენად ბოროტი გამოიხატა იმის მოქმედებაში და მარტო ზარალის მიხედვით არ უნდა მიეყოს სამაგიეროო. ამას გარდა, იგივე სამართალი ამბობს, თუ ყველა არა, ზოგიერთი დანაშაული მაინც, საზოგადო ბოროტებაა და საათაბაგოს პატრონმა უნდა სდევნოს და განსაჯოს“.[18] აქ იხატება **კერძო და საზოგადოებრივ ინტერესთა განსაზღვრა** «различіе частныхъ и публичныхъ правъ», **როგორც ამბობენ იურისტები—თეორია, რომლის წყალობით ფეოდალს, მეფეს თუ დემოკრატიულ პარლამენტს კერძო ადამიანთა ცხოვრებაში ჩარევის უფლება მიეცა და რომლის მეოხებით მმართველთა ძალა-უფლობას ვითომდა საზოგადოებრივი თანხმობის ხასიათი დაეტყო.**

ყველა ზემონათქვამიდან შემდეგი დასკვნა გამომდინარეობს: ძველი მართლმსაჯულება, ძველი დაწერილი კანონი ვიწროდ იყო დაკავშირებული ადათსა და ჩვეულებასთან. ხოლო რაც დრო გადიოდა კანონსა და ადათს შორის განხვავება იზრდებოდა. კავშირი ადათსა და კანონს შორის ორგანიული არ იყო. ადათი და კანონი არსებითად ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს. ერთი საგვარეულო ცხოვრების ჩარჩოში აღორძინდა, მეორე პოლიტიკურ საზოგადოებაში. ერთი იყო ზნეობრივი და გონებრივი გამოსახულება ხალხისა, რომელიც ერთგვარ მატერიალურ პირობებში სცხოვრობდა; მეორე იყო ძლიერთა ხელში იარაღი დამონებისა. იგი ვითარდება იმგვარ საზოგადოებაში, რომელსაც პირვანდელის ერთგვარობა დაეკარგა და ეკონომიური უსწორ-მასწორობა დაეტყო. თავდაპირველად მეფენი, მთავარნი ადათს თავიანთის ძლიერების გასამტკიცებლად ხმარობდნენ. თავიანთი ბატონობა იმათ საგვარეულო წყობილებიდან აღორძინებულ საზოგადოებაში დაამკვიდრეს. ამიტომაც არის, რომ ადათი გაიხადეს თავიანთ კანონმდებლობის საძირკვლად. ხოლო ამასთან ამ კანონმდებლობაში შეაპარეს მისთანა რამ, რაც ადათში არ იყო, **რაც მას არღვევდა და ეწინააღმდეგებოდა და რაც იცავდა ახლად აღმოცენებულ ახალ წოდებათა და ბატონთა ინტერესებს—ფეოდალთა, მთავართა და მეფეთა.**

ასე იყო ძველს წარსულში; ასევეა ეხლაც. თუ მთავრობის გაძლიერებისათვის სასარგებლოა ადათის განვითარება, ადათს არ სდევნიან, პირიქით, მის განვითარებას ხელს უწყობენ. ხოლო თუ ადათი მთავრობის პრესტიჟს ძირს უთხრის, მას სდევნიან და ავიწროვებენ.

მაშინ როდესაც სვანეთში, მაგალითად, მთავრობა სასტიკად სდევნის ხალხურ ადათს, დაღესტანში თითქოს მფარველობასაც უწევს მას. რა მიზეზია, იკითხავთ? ის, რომ დაღესტანში მუსულმანთა კანონი „შარიათია“ გავრცელებული. შარიათი კი ადათთან დაახლოვებულია. ამ გარემოებით ისარგებლა შამილმა და თავის ბატონობის დროს მხოლოდ „შარიათს“ ავრცელებდა. შამილის დამხობის შემდეგ რუსეთის მთავრობამ შარიათს დაუწყო დევნა, რათა ამით შამილის კვალი და გავლენა აღმოეფხვრა, და ადათს დაუწყო მფარველობა. სვანეთში შამილობა არ იყო და იქ ადათს სდევნიან. ამ გარემოებამ მეცნიერი იურისტები საგონებელში ჩააგდო. როგორ იქნება, შარიათი გაცილებით მაღლა სდგას ადათზე, დაღესტანში კი ადათს აძლევენ უპირატესობასაო? ყველა ეს კი საუკეთესოდ გვიხასიათებს მართველ წრეების უტყუარ ვერაგობას. ადათის წინააღმდეგ გალაშქრება ხელსაყრელია სვანეთში, ხოლო მავნებელია დაღესტანში. ადათს რომ დევნა დაუწყონ, შარიათი გამეფდება, შარიათი კი „შამილობაა“, ხოლო შარიათის გაუქმებით ხალხი ადათითაც იოლად წავა და საფრთხე, შიში, აჯანყების შიში მოისპობაო. ნამდვილი მნიშვნელობა კანონმდებლისა სწორედ ამნაირია: ჯანი გავარდეს ხალხის საჭიროებათ და მოთხოვნილებათ, ოღონდ მმართველთა ძლიერება არ იყოს შერყეულიო.

კანონის და ადათის თვისება და ბუნება საკმარისად გამოირკვა ჩვენთვის. ზემოდ ნათქვამი გვაძლევს მასალას შემდეგ დასკვნისათვის. ახალ საზოგადოებაში, სადაც ეკონომიურ უთანასწორობას ადგილი აღარ ექნება და სადაც კანონის მოქმედებისათვის საჭირო პირობები მოისპობა (კერძო საკუთრების გაუქმება),—კომუნისტურ საფუძველზე აგებულ წეს-წყობილებაში **საზოგადოებრივ აზრს, თავისუფალ შეთანხმებას** (და არა კანონს) მიეცემა ძალა ადამიანთა შორის ურთიერთობის გასამტკიცებლად. კერძო საკუთრების წარმოშობის და გაუქმების შედეგებს რო ჩავუკვირდეთ, ეს მოსაზრება უფრო ნათელი გახდება ჩვენთვის. განვიხილოთ საზოგადოებრივ ფორმების ტიპები. ჩვენს წინაშე ორი ტიპია საზოგადოებრივობისა. ერთი არის **გვარი** (პირვანდელი კომუნიზმი) და მეორე **სახელმწიფო** (კერძო საკუთრებაზე აშენებული პოლიტიკური ორგანიზაცია). ამ ორ ორგანიზაციის შორის შეურიგებელი ბრძოლაა. სახელმწიფოს წარმოშობასთანავე ხომ პირვანდელი კომუნიზმი დაემხო. საყურადღებოა, რა ხასიათის საფრთხე მოელის სოციალიზმის დამყარებასთანავე თვით სახელმწიფოს.

**არჩილ ჯორჯაძე.**

(შემდეგი იქნება)

14) „კანონი“, სოციოლოგიური ეტიუდი. Bâton-ისა, გვ. 10.

15) ibid გვ. 113.

16) ibid გვ. 180.

17) ibid გვ. 265.

18) Idid გვ. 312.

ლოსნებს, რომელნიც სახლების აშენებაზედ მუშაობენ. ამ შემთხვევაში ერთად შეკავშირება ყველა ასეთი ხელოსნებისა ცხადია, რომ ძლიერი იქნებოდა, გარდა ამისა, ადგილ-მამულის პატრონს სახლების აშენებაც გაუადვილებს, რადგან ამ უკანასკნელს ერთად-ერთ საერთო კავშირთა კავშირის ბიუროსთან ექნება საქმე და მუშა ხელის ძებნა სხვადა სხვა არტელებთან არ მოუხდება. ძიხ, საჭიროა ყველა დარგის ხელოსნების შეერთება ერთ კავშირად და საზოგადო ბიუროს დარსება ქალაქის შუა ადგილას. არტელების დარსებით კი ხელოსნები დაიბნევიან და დაქუცმაცდებიან. შეიძლება ისიც მოხდეს, რომ ხელოსნების ერთს დარგში გაჩნდეს რამდენიმე არტელი ერთი მეორის სამტროდ და, მაშასადამე, საზარალოდ.

როგორც კაცის გული და გრძნობა და მისი ავებულობის ყოველი ნაწილი მგრძნობიარე ძარღვებით არის შეერთებული კაცის უმთავრესს ნაწილთან—თავსა და ტვინთან და ტვინი ამ გაბმულ ძარღვების საშუალებით თავის სურვილზე ამოქმედებს სხეულის ყველა დანარჩენ ნაწილებს. სწორედ ასევე ყველა ეს ხელოსნები, დურგლები, კალატოზები, მღებავები და სხვანი მრავალნი უნდა ემორჩილებოდნენ ერთს საერთო ამორჩეულ ბიუროს. ბიურო სათავეში უნდა უდგეს ყველას და ყველა ამხანაგებზედ უნდა ზრუნავდეს. ყველა ამის გამო ჩვენ დიდის თანაგრძნობით ვეგებებით ამხანაგ თოიძის ფართო შეხედულობას და იმის რჩევაში ვხედავთ ნამდვილ სხნას.

**ხელოსანთაგანი.**

# რუსეთი

✦ **ლევ ტოლსტოის ნაწერის გასამართლება.** 7 თებერვალს პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ჟურ. „ვსემირნი ვესტნიკის" რედაქტორის სუხონინისა, რომელსაც ბრალდებოდა ლევ ტოლსტოის წერილის „ერთად ერთი საშვალების" დაბეჭდვა. ბრალდებულის დამცველად გამოვიდა ცნობილი ვექილი გრუზენბერგი. როცა ბრალდების ოქმი წაიკითხეს, გრუზენბერგმა გამოაცხადა: ოქმში ტოლსტოის აზრი დამახინჯებით არის გამოცემული და ამიტომ საჭიროა—ტოლსტოის მთელი წერილი წაიკითხოთო. პალატის წევრმა დაიწყო ტოლსტოის წერილის კითხვა, მაგრამ ისე ჩქარა და გაუგებრად, რომ დამსწრეთ არაფერი ესმოდათ, გრუზენბერგმა ამის გამო პროტესტი გამოაცხადა. თავმჯდომარემ მიუგო: შეგიძლიათ ტოლსტოის წერილი ხელში დაიჭიროთ და კითხვას ისე ადევნოთ თვალყურიო. გრუზენბერგმა უპასუხა: ტოლსტოის ნაწერი დიდი ხანია წაკითხული მაქვს და ახლა მხოლოდ ის მინდა, რომ დამსწრეთაც მოისმინონო. მაშინ პალატის წევრმა გარკვევით დაიწყო კითხვა. ბრალმდებელმა მხოლოდ გაიმეორა ბრალდების ოქმის საბუთები. დამცველმა სხვათა შორის სთქვა: „ბრალდებული ბრალდებულზე უფრო გულადი გამოდგა: იგი პირდაპირ ამბობს, ჩემგან გამოცემული ტოლსტოის წერილი მრავალმა ათასმა კაცმა წაიკითხაო. ბრალმდებელი კი, როგორც სჩანს, შიშმა შეიპყრო და იგი ვერ ბედავს თვით ამ წერილის დამწერის, ლევ ტოლსტოის, პასუხის ცემაში მიცემას. ტოლსტოიმ ამ 11 წლის წინად მ მართა იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრებს შემდეგის წერილით: „ნუ აწვალებთ სხვებს იმისთვის, რასაც მე ვმოქმედებ. წინდაწინ ვაცხადებ, რომ სიკვდილამდის განუწყვეტლივ იმას ვიქ, რაც მთავრობას ბოროტ-მოქმედებად მიაჩნია, მე კი ჩემ წმინდა მოვალეობად ვსთვლი". საველესასამართლოების, ქვეყანაში,—განაგრძო გრუზენბერგმა, თქვენ გეშინიათ პირის პირ შეხვდეთ ტოლსტოის, როგორც გეშინიათ ძველი და ახალი აღთქმის ღვთიური სიტყვების, რომელთაც სიტყვით აღიარებთ, ნამდვილად კი სდევნით. თავმჯდომარემ შენიშვნა მისცა დამცველს, პროკურორის ბრალდების ნება არა მაქვსო. გრუზენბერგმა მიუგო: „კარგად ვიცი, რომ პროკურორს კანონი იცავს, ღვთის სიტყვებს კი დამცველი არა ჰყავს. ნუ თუ ტოლსტოი დამნაშავეა იმისათვის, რომ თავისი ნიჭი და სიცოცხლე ქრისტიანულ აზრების გავრცელებას შესწირა? თქვენ, მსაჯულებო, თავს ვერ დააღწევთ ამ საკითხს, როგორც ვერ გაექცევა მთავრობა პასუხის გებას იმისათვის, რომ მთელ ქვეყანაში სახელგანთქმულ მწერლის ნაწერებს ამდენი წელიწადია სდევნის. თქვენ შეგიძლიათ დღევანდელივით ჩქარა და გაუგებრად წაიკითხოთ ტოლსტოის ნაწერი, მაგრამ კაცობრიობა მაინც გაიცნობს იმას. ამას წინად ტოლსტოიმ სთქვა, ისეთ ხანაში ვცხოვრობთ, როცა წარმართული ცხოვრება შესაძლებელია, წარმართობის ქადაგება კი შეუძლებელიაო. ტოლსტოი შესცდა. პეტერბურგში არა მარტო წარმართულად სცხოვრობენ, არამედ კიდევაც ქადაგობენ. დღეს ამგვარი ქადაგება ბრალმდებელის პირიდან მოვისმინეთ.

პალატამ მოკლე თათბირის შემდეგ გაამართლა ბრალდებული რედაქტორი.

✦ **უცხოეთის ელჩების მღელვარება.** ოდესიდან მოსულმა საზარელმა ამბებმა ერთობ აალელვა უცხოეთის სახელმწიფოთა ელჩები. მათ მიმართეს გარეშე საქმეთა მინისტრს მოთხოვნილებით—მთავრობამ მიიღოს ზომები ოდესაში მცხოვრებ უცხოეთელ ქვეშევრდომთა დასაცველადაო. გარეშე საქმეთა მინისტრმა საჩქაროდ მიმართა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს სტოლიპინს, რომელმაც განკარგულება გაუგზავნა ოდესსის ადმინისტრაციას, დაუყოვნებლივ ალაგმოს შავ რაზმელთა თავხედობა.

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 თებერვალი

**პეტერბურგი.** სამხედრო უწყებას შემდეგი უმაღლესი ბრძანება მიუვიდა: იმ სალდათებს, რომელთაც უმაღლესი განათლება მიუღიათ, რომ მეორე ხარისხის შეღავათი აქვთ და უმსახურნიათ შორეულ აღმოსავლეთში ომიანობის დროს და რომელთაც თავიანთ ყოფილ უფროსებისაგან კარგი ატესტატი აქვთ, შეუძლიანთ სათადარიგო პრაპორშჩიკის ეგზამენი დაიჭირონ სათადარიგო ჯარის კაცად ჩარიცხვის დღიდან სამი წლის განმავლობაში. მსურველი წინ-და წინ პრაქტიკულად უნდა მოემზადოს ბანაკში იმ დროს, როცა მორიგეობით იწვევენ ხოლმე სათადარიგო ჯარის კაცთ სამხედრო წესრიგის ცოდნის განსამეორებლად. მსურველთ თხოვნით უნდა მიმართონ სამხედრო უფროსს ვისთანაც ჩაწერილნი არიან, თუ მსურველი სათადარიგო ჯარის კაცია, და ვინც ეხლა ნამდვილ სამსახურს ეწევა, თავისს პირდაპირ უფროსს უნდა მიმართოს. თხოვნები უნდა წარედგინოს 15 მარტამდე.

**კოსტრომა.** სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე 1905 წლის 19 ოქტომბრის მოსწავლეთა ცემის შესახებ. 15 კაცი გაამართლა; 25 მიუსაჯა 6—16 თვე სატუსაღო და ზოგიერთ განსაკუთრებით უფლების ჩამორთმევა. სამოქალაქო საჩივარი დაკმაყოფილებულ იქნა.

**უმანი.** კანევის მაზრაში უმიწობისა გამო 400 კომლმა აზიის რუსეთში გადასახლების სურვილი განაცხადა და მთავრობას თხოვნით მიმართა.

**პეტერბურგი.** 13 თებერვალს საღამოთი ნადეჟდინის ქუჩაზე თავისს სახლში მოკლული ნახეს „აპოლლო"-ს თეატრის არტისტი—ქალი ლებედევისა. როგორც ეტყობა, ლებედევასთვის მოსამსახურეს თავში უთო დაურტყამს და იმით მოუკლავს. 12 თებერვალს ლებედევას მოსამსახურე ქალს შკაფის მტვრევა დაუწყია, რომ ნივთები მოეპარა; ამ დროს ლებედევაც შესწრებია. მკვლელობა ამისი შედეგი უნდა იყოს.

**რომი.** გუშინ გარდაიცვალა გულის ავადმყოფობისა გამო ცნობილი ისტორიკოს-პუბლიცისტი, რომის საშუალო ლიტერატურის მცოდნე მოდესტოვი.

**კოვნო.** სამხედრო სასამართლომ მეშკოვკის და იაბლონსკის ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა. იმათ კოვნოს სატუსაღოს ზედამხედველის კონილოვიჩის მოკვლა ჰბრალდებათ.

**პეტერბურგი.** ირკუტსკში მეეტლე და დარაჯი საველე სამართალში მისცეს. იმათ საარყე დუქნის ფულის ამკრეფის ხვალიას მოკვლა ჰბრალდებათ. ხვალია მოჰკლეს 1906 წლის იანვარში და გაიტაცეს 50.000 მანეთი.

**ლონდონი.** „დეილი-მეილ-"ს თეირანიდან აუწყებენ, რომ მთავარი მუფთი მუშთახედი (?) 300 თანამოაზრით შახ-აბდულაზიმში წავიდა იმ აზრით, რომ ახალ პარლამენტის მოქმედებისთვის პროტესტი გამოეცხადებინა. გუშინ საღამოთი სადრაზამი რუსეთის ელჩს მარტოდ მარტო ემუსაიფა. დღეს შაჰმა მიიღო რუსეთის ელჩი და მთელი საათი ელაპარაკა.

„სტანდარტ"-ში დაბეჭდილია დიდი წერილი; წერილი გადმოგვცემს მოკლედ შინაარს იმ მოხსენებისას, რომელიც გენერალმა სმირნოვმა ხელმწიფეს მიართვა. სმირნოვი პორტ-არტურის კომენდანტად ნამყოფია და მოხსენებაში უწერია პორტ-არტურის ალყის შემოროტყმა. მოხსენებაში გაკიცხულია გენერალი სტესელი.

**პეტერბურგი.** მთავრობის წრეებში ანისტიაზე ლაპარაკი არა ყოფილა. 13 თებერვალს საღამოს 6 საათზე და 50 წუთზე, როცა დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის მატარებლის ცარსკოე სელოსკენ გამგზავრებას 3 წუთი უკლდა, ვიღაც უცნობმა, რკინის გზის ბატალიონის მემანქანის ფორმაში გამოწყობილმა, შერჩეულის გასაღებით ჰიხკარი გააღო და სადგურზე გაჩნდა, მატარებელს მიახლოვდა და ლიანდაგზე რაღაც ტილოში გახვეული ოთხ კუთხი ნივთი დასდო. იგი ძლიერი ასაფეთქებელი მასალა აღმოჩნდა, წონით $3^1/_2$ გირვანქა. კონდუქტორმა უცნობის დაჭერა მოინდომა, მაგრამ იმან რევოლვერი მოუღერა და სადგურიდან გაიქცა, ეტლში ჩაჯდა და მიიმალა. მატარებელი განზე გააგორეს. დიდი მთავარი იქავ საღამოს ცარსკოე სელოში წავიდა.

**კრასნოიარსკი.** ქალაქის კომენდანტს პოდპოლკოვნიკ კოზლოვსკის ქუჩაში სეირნობის დროს ორი ტყვია მოარტყეს თავში და მოჰკლეს. მკვლელნი მიიმალნენ. კოზლოვსკის ბევრი მუქარის წერილი მისდიოდა.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს საექიმო საბჭომ აღკრძალა პროვიზორ პრუჟინოს მიერ ეკზემის წინააღმდეგ მოგონილ წამლის „ეკზემონი"-ს გაყიდვა.

**სევასტოპოლი.** საზღვაო წრეებში ბევრს ლაპარაკობენ ადმირალ სკრიდლოვის მოხსენებაზე. ადმირალს საზღვაო მინისტრისათვის მოხსენება წარუდგენია შავი-ზღვის ფლოტის აღდგენის შესახებ.

**ვილნა.** მარიუპოლში სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა ნეკოხდორფსკის და პოვალისს. იმათ ჰბრალდებათ გლეხის დელკუსის მოკვლა და იმის ძმის დაჭრა.

**პეტერბურგი.** სოსნოვიცის მახლობლად ნემაჩში რევოლვერით მოჰკლეს დარაჯები ვენიკი და გრაბინკა. მკვლელნი მიიმალნენ. ფეოდოსიაში კარაიმსკი სლობოდკაში ყელები დასჭრეს მოხუც კარაიგს (ებრაელია) და იმის ცოლს. მკვლელები მიიმალნენ.

**ბერლინი.** სტუდენტების კრებას უცხოელ სტუდენტების შესახებ ბევრი ხალხი დაესწრო. პირველი სიტყვა სთქვა პროფესორმა სამასმა და აღნიშნა, რომ როცა უცხოელ სტუდენტებზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ რუსეთიდან მოსულ ებს. მხოლოდ რუს-ებრაელი სტუდენტები უწყობდნენ ხელს არჩევნების დროს სოციალ-დემოკრატებს და ამით იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ იქცეოდნენ, რომლის სტუმართ-მოყვარეობით სარგებლობდნენ. სხვა სახელმწიფოებიდან მოსულ სტუდენტების წინააღმდეგ არავის უჩივლიაო. შემდეგ სამასამ სთქვა, რომ აღმოსავლეთიდან დაბალი კულტურის ელემენტი ბევრი გვაწყდებაო. კრებამ მიიღო რეზოლიუცია და პროტესტი აღმოსავლეთიდან მოსულ დაბალი კულტურის ელემენტის წინააღმდეგ. ეს ელემენტი ემუქრება გერმანელების ნაციონალურ ხასიათს და ბოროტად ხმარობს ჩვენ პურ-მარილს, რაც სჩანს იქიდან, რომ არჩევნების დროს რუსეთიდან ჩამოსული ებრაელი და სლავიანის ტომის სტუდენტები სოც.-დემოკრატების აგიტაციაში მონაწილეობას იღებდნენ რეზოლიუცია მიმართავს სარწმუნოებათა მინისტრს, რომ მოკავშირე სახელმწიფოებთან შეთანხმებით რამე იღონოს ზემოხსენებულ უცხო ელემენტების წინააღმდეგ. კრებაზე ცხარე კამათი იყო. გერმანელ ებრაელ სტუდენტებმა განაცხადეს, რომ არ თანაუგრძნობთ რუს-ებრაელ სტუდენტების მოქმედებასაო. რეზოლიუცია უმრავლესობამ მოიწონა.

**პეტერბურგი.** 14 თებერვალს ლამეზელენინის ქუჩის მე-26 ნომერში, ჩხრეკის დროს, ერთ საკუჭნაოში აღმოაჩინეს 7 რევოლვერებით და 2 ყუმბარებით სავსე ყუთი. ჩხრეკა მთელი დღე გაგრძელდა. იარაღის საწყობი შემთხვევით აღმოაჩინა ერთმა ბავშვმა. ცელქობის დროს საკუჭნაოდან ბრაუნინგი გამოიტანა, დერეფანში სირბილი დაიწყო და რევოლვერით ტოლებს აშინებდა. იმ სახლში 1000 ოთახია. მცხოვრებნი მუშები არიან.

რედაქტორ-გამომცემელი **ივ. ი. მჭედლიშვილი.**


# განცხადებანი

ტფილისის წვრილ ვაჭართა

ბიურო

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ **დარია გასპაროვნა სააკოვის მ. მულისთვის** (სადგომებ დუქნებისათვის) რომელიც მდებარეობს იარმუკის თავში, ბარონის ქუჩაზე № 15. ვაჭართა ბიუროს არავითარი ბოიკოტი არ გამოუცხადებია, და ვილაც გარეშე პირთაგან გავრცელებული ხმები ამაზედ უნდა ჩაითვალოს ცრუდ.

**ტფილისის წვრილ ვაჭართა ბიურო.**

ქუთაისში

თესლეულობის

# კანტორა

**კიწმარიშვილისა და ამხ.-სა** „მარიხვანის ქუჩა, გუგუშვილის სახლში, სადაც შეიძლება შეიძინოთ ბოსტნის, კიტრისა, სამყურის, პურის, ეკლის ხის, ბეოლის, ლახანის და ყოველ-გვარი ბოსტნეულობის და ყვავილების თესლეულობისა. პრეისკურანტები მსურველთ ეგზავნებათ უფასოდ. (12—12)

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ

# არითმეტიკული

**კრებული ნაწ. II-ე**

ე. ხრამელაშვილისა. ფასი ორი აბაზი—ნარდათ მყიდველებს 20% დაეთმობა აქვე I ნაწილი კრებულისა, ყდით 30 კაპ. მისამართი, ტფილისი წიგნის მაღაზია „ცოდნა".

(10—522—10) **სოხიკო მერკვილაძესთან.**

# ტფილისის ამხანაგობა

1907 წლის 1 აპრილიდან ქალაქ ტფილისში **იხსნება ხელოვნურ და სამკურნალო წყლების ქ რხანა** სასადილოებისა, წვრილ ვაჭრებისა და სასმელ დუქნებისთვის. ამხანაგობის თანხა შესდგება 200 პაისაგან, თითო პაი 20 მან. თუ ქარხანაში მომუშავენი მოისურვებენ, შეუძლიანთ ამხანაგობაში შევიდნენ.

ამხანაგობაში ჩაწერა შეიძლება თამარის ქუჩაზე, № 9, გრიგოლ დულიევთან. შეიძლება ჩაწერა აგრეთვე ამხანაგობის მიერ არჩეულ კაცებთან: 1 ნაწილში არჩეულია ელიაზარ გასპარიანცი, მეორე და მეექვსისაში—არტემ დანელოვი, მესამისაში—ქრისტეფორე ფრიმოვი, მეოთხისაში—სერგეი საინოვი, მეხუთისაში—არშაკ კუზანოვი, მეშვიდისაში—ეფრემ მკრტუმიანცი, მერვესაში—მიხაკ ვარსიმოვი, მეცხრისაში—ბაგრატ კარაპეტოვი, მეათისაში—ალექსანდრე ინაძე. (1—552—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცნობებს მცხოვრებთ, რომ **იმპერატორის ალექსანდრე** II-ის სახელობის საავადმყოფო (სიფილისით და სხვა ვენერიულ სენით ავათმყოფთათვის) ახალ სადგომში გადაიტანის — ველიკოკნიაჟესკი ქუჩაზე სახლი № 109 და 6 თებერვლიდან იქ გაიხსნა, გარდა ქალთა განყოფილებისა (35 ადგილი) კიდევ განყოფილება მამაკაცთათვის (20 ადგილი). გარდა ამისა საავადმყოფოში მიიღებენ მოსიარულე ავადმყოფთა, ვინც სიფილისით, ვენერიულის ან კანის სენით არის შეპყრობილი. მოსიარულე ავადმყოფთ უფასოდ იღებენ ყოველ დღე, გარდა კვირა დღისა და ზოგიერთ უქმე დღეებისა, დილის 10 საათიდგან სალამოს 1—მდე; ამავე დროს შეამოწმებენ ძიძებს და მოსამსახურეთ. საავადმყოფოს გამგედ დანიშნულია მედ. დ—რი ს. ს. ისტამანოვი. (5—ნ. ქლ.—3)



# ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მსწრაფლ-მავლები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა

და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების **საუკეთესო** მაღაზიებში.

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ

საფაბრიკო ნიშანს

# ნარდად გაყიდვა

სავაჭრო სახლის „ლეოპოლდ ნეიშელლერ"-ის

**საქონლისა საწყობი ერევნის მოედანზე. ტელეფონი № 40 იქვეა მრავლად**

✦✦✦✦ ტყავეულობა ✦✦✦✦

რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. (100—6.—1)


სტამბა „იდეალი" (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.